ხელშეკრულება №5
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ზუგდიდი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის რობერტი ბერიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „პილოტი 2014“ წარმოდგენილი(შემდგომში - მიმწოდებელი) ნანული ჩემინავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშერკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთველისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სტიკერების(CPV კოდი - 22459100), ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალების/წიგნების, საბუღალტრო წიგნების, ფორმების და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების(CPV კოდი - 22800000), სხავადასხვა საოფისე მოწყობილობისა და საკანცელარიო ნივთების(CPV კოდი - 30190000), მინდორში და მოედნებზე სათამაშო სპორტის სახეობების აღჭურვილობის(CPV კოდი - 37450000), სათამაშოების(CPV კოდი - 3752000), ცარცის(CPV კოდი - 37822300) და სკოჩის(CPV კოდი - 44424200) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 559.70 (ხუთას ორმოცდაცხრამეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს:

3.1.1. სტიკერები(CPV კოდი - 22459100) - 10.00 ლარი;

3.1.2. ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები(CPV კოდი - 22800000) - 31.00 ლარი;

3.1.3. სხავადასხვა საოფისე მოწყობილობი და საკანცელარიო ნივთები (CPV კოდი - 30190000) – 269.00 ლარი;

3.1.4. მინდორში და მოედნებზე სათამაშო სპორტის სახეობების აღჭურვილობა(CPV კოდი - 3745) - 85.00 ლარი;

3.1.5. სათამაშოები(CPV კოდი - 37520000) – 24.20 ლარი

3.1.6. ცარცი(CPV კოდი - 37822300) - 73.00 ლარი;

3.1.7. სკოჩები(CPV კოდი - 44424200) - 62.00 ლარი.

3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღებ-ჩაბარება და ანგარიშწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშ-ფაქტურით.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარისწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს 2023 წლის 28 თებერვლამდე მიმწოდებლის მისამართზე: ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა №92;

5.2. საქონლის შესყიდვის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა);

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენის საჯარო სკოლის დირექტორი რობერტ ბერიშვილი.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეული ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ,მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.წინააღმდეგ შემთხვევაში,შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების,დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა,რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინერე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე,თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი-შემსყიდველთან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მუხლი 16. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“

ნარაზენის საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი: 220373682

მისამართი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნარაზენი, მ. ლომაიას ქუჩა №8

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი: LBRTGE22

ანგარიშის №: GE04LB0121110373116000

ხელმოწერა: /რ. ბერიშვილი/

„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“

შ.პ.ს. „პილოტი 2014“

საიდენტიფიკაციო კოდი: 419990843

მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №92

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი: LBRTGE22

ანგარიშის №: GE27LB0113153709521000

ხელმოწერა: /ნ. ჩემინავა/

pilot 2014

Digitally signed by pilot 2014
DN: cn=pilot 2014, 2.5.4.97=NTRGE-419990843, o=••• •••••• 2014, c=GE
Date: 2023.02.20 11:51:01 +04'00'

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:

№	CVP კოდი	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	საერთო ფასი (ლარებში)
1	22459100	სტიკერი 500 ცალიანი	შეკვრა	2	5.00	10.00
2	22810000	ბრძანების ჟურნალი	ცალი	2	3.00	6.00
3	22850000	სწრაფჩამკერი	ცალი	15	0.50	7.50
4	22852000	ფაილები ა4	შეკვრა	3	6.00	18.00
5	30190000	ცხელი წებოს სილიკონი	ცალი	50	0.35	17.50
6	30190000	წებო 36 გ მშრალი	ცალი	5	1.00	5.00
7	30190000	დაფის მაგნიტი	ცალი	5	1.20	6.00
8	30190000	მონიტორი საწმენდი	ცალი	1	7.00	7.00
9	30190000	კლიპსი	ცალი	10	0.6	6.00
10	30190000	საკანცელარიო დანა	ცალი	1	1.00	1.00
11	30190000	გუაში	ცალი	2	16.00	32.00
12	30192121	კალამი	ცალი	5	0.70	3.50
13	30192121	კალამი	ცალი	10	0.50	5.00
14	30192125	მარკერი	ცალი	36	1.00	36.00
15	30192125	დაფის მარკერი	ცალი	10	1.00	10.00
16	30197110	სტეპლერის ტყვია	ცალი	3	0.50	1.50
17	30197320	სტეპლერი	ცალი	2	6.00	12.00
18	30197320	სტეპლერი	ცალი	2	7.00	14.00
19	30197600	ფორმატი ფერადი	ცალი	3	1.50	4.50
20	30197600	ფერადი ქაღალდი 250 ცალიანი	შეკვრა	1	14.00	14.00
21	30197600	ბრჭყვიალა ქაღალდი	ცალი	22	4.50	99.00
22	37452200	კალათბურთის ბურთი	ცალი	1	25.00	25.00
23	37452900	ფრენბურთის ბურთი	ცალი	2	30.00	60.00
24	37520000	ხის პაზლი	ცალი	1	15.00	15.00
25	37520000	ანბანი	ცალი	1	5.00	5.00
26	37525000	ფერადი ბუშტები	ცალი	14	0.30	4.20
27	37822300	ცარცი 100 ცალიანი ფერადი	შეკვრა	1	13.00	13.00
28	37822300	ცარცი	შეკვრა	5	12.00	60.00

29	44424200	სკოჩი საშუალო	ცალი	3	1.00	3.00
30	44424200	სკოჩი პატარა	ცალი	2	0.50	1.00
31	44424200	სკოჩი გამჭვირვალე	ცალი	2	1.50	3.00
32	44424200	სკოჩი გამჭვირვალე 200მ	ცალი	1	8.00	8.00
33	44424200	სკოჩი გამჭვირვალე 100მ	ცალი	4	4.00	16.00
34	44424200	ორმაგი სკოჩი	ცალი	2	3.50	7.00
35	44424200	ფერადი სკოჩი	ცალი	3	8.00	24.00
სულ ღირებულება						559.70

„შემსყიდველი“

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ
ნარაზენის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ: /რ. ბერიშვილი/

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „პილოტი 2014“: pilot 2014 Digitally signed by pilot 2014
DN: cn=pilot 2014, 2.5.4.97=NTRGE-419990843, o=••• •••••• 2014, c=GE
Date: 2023.02.20 11:51:30 +04'00' /ნ. ჩემინავა/